სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 მარტი, 2026 წ.

ბრძანება № 01-02/41

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ERASMUS+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლატვიაში, ვიძემის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის საერთაშორისო კვირეულში მონაწილე ბსუ-ს აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო მობილობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №07-01/03 გადაწყვეტილების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2026 წლის 27 თებერვლის MES 4 26 0000241545 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025–2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, „ERASMUS+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლატვიაში, ვიძემის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში 2026 წლის 27 აპრილიდან 1-ელი მაისის ჩათვლით გასამართ საერთაშორისო კვირეულზე (თემა: „სწავლება ხვალ: ინოვაცია, გამოწვევებზე დაფუძნებული სწავლება და ხელოვნური ინტელექტი" (Teaching tommorow: Innovation, challenge-based learning and IL)) მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით 1 აკადემიური/მოწვეული და 1 ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება **2026 წლის 04 მარტიდან - 13 მარტის ჩათვლით, 15:00 საათამდე:**

ა) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის - ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow), საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

ბ) ხელშეკრულებით მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალისათვის - ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის (info@bsu.edu.ge) მეშვეობით.

1.2. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2026 წლის **13 მარტი** - 17:00 საათი (შემოწმება და შეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით

უზრუნველყოს ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა (12.03.2026 წ.-დან);

1.3. **გასაუბრება** კომისიასთან - 2026 წლის **16 მარტი,** 11:00 საათიდან;

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტისათვის - არაუგვიანეს 2026 წლის **20 მარტისა.**

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო **კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არაშიძე - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ვ) ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის (12.03.2026 წ.-დან) უფროსი/მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე